საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი

ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი, ნაკრძალი ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაბანეურსა და არგოხთან, კავკასიონის მთავარი ქედის კალთების ძირში, მდ. ალაზნის ნაპირებზე, ზ. დ. 439–600 მ.

დაარსდა 1950 მესამეული პერიოდის რელიქტის - ძელქვის იშვიათი მასივის დაცვა-შემონახვის მიზნით. 2003-იდან ბაწარა-ბაბანეური დაცული ტერიტორიების შემადგენლობაშია. ფართობი 770 ჰა. ძელქვა იზრდება როგორც ცალკე კორომად, ისე კავკასიურ რცხილასა და ჯაგრცხილასთან ერთად; შერეულია აგრეთვე მუხა, ნეკერჩხალი და სხვ. ქვეტყეს ქმნის კუნელი, კვიდო, შინდანწლა, ზღმარტლი, ასკილი. გარდა მრავალი სახეობის ფრინველისა, ნაკრძალში ბინადრობენ ძუძუმწოვრებიც – შველი, თეთრყელა კვერნა, მელა და სხვ.

კ. მამისაშვილი